# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-87

ქ. თბილისი

„24" 02 2011 წ.

თვითმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს მიერ წარმოდგენილ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაგეგმილი „ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე 30 და 100 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო სატუმბი სადგურისა და გამწმენდი ნაგებობის" მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „პ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №10; 22.02.2011წ ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე 30 და 100 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო სატუმბი სადგურისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება.
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს თვითმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს და მუნიციპალური განვითარების ფონდს.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №10; 22.02.2011წ* და *ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.*

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

*ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, თვითმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს, მუნიციპალური განვითარების ფონდს*